

ნელი პაპიაშვილი

National University of Political Studies and Public Administration, Romania

კავკასიის ეკონომიკის სკოლა

„სკოლის პერიოდიდან გაცნობიერებული მქონდა, რომ მსურდა მიმეღო განათლება საზღვარგარეთ. კავკასიის უნივერსიტეტისა და Erasmus+ პროგრამის დახმარებით, 2019 წლის შემოდგომის სემესტრისთვის გავემგზავრე ბუქარესტში. ბუქარესტი საკმაოდ საინტერესო ქალაქია, მას მცირე პარიზს ან აღმოსავლეთის პარიზსაც კი უწოდებენ ელეგანტური და თანამედროვე არქიტექტურის გამო.

რუმინელები საოცრად თბილი, ყურადღებიანი და ენერგიული ადამიანები არიან. ამ ფაქტორმა გამიადვილა და საინტერესო გახადა ჩემი ცხოვრება უცხო ქვეყანაში. ჩემთვის ყოველთვის გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა დამოუკიდებლად ცხოვრება, მოგზაურობა ქვეყნებში, სრულიად განსხვავებულ კულტურასთან და განათლების სისტემასთან ადაპტაცია. ვფიქრობ, Erasmus+ პროგრამა დამეხმარა გავზრდილიყავი პიროვნულად და შემეძინა მეგობრები სხვადასხვა ქვეყნიდან. მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს და ერაზმუსის პროგრამას ამ შესაძლებლობისათვის.”